სამართავი პანელის ტექნიკური დოკუმენტაცია

მოდულები

- სლაიდერი
- პროდუქტი
    - პროდუქტი
    - კატეგორიები
    - ბრენდები
- ჩვენ შესახებ
- საკონტაქტო ინფორმაცია
- შეტყობინებები
- ადმინისტრატორები

სტანდარტული ფუნქციონალი ყველა მოდულისათვის

ნებისმიერი მოდული ხშირ შემთხვევაში იყოფა სამ ძირითად ქვე-მოდულად :

- ჩამონათვალის გვერდი
- დამატების გვერდი
- რედაქტირების გვერდი

არსებობს ისეთი ოპერაციები და ელემენტები, რომლებიც ყველა მოდულისთვის საერთოა :

- ჩამონათვალის გვერდიდან **რედაქტირების გვერდზე გადასასვლელი ბმული**
- **წაშლის ღილაკი** ჩამონათვალის გვერდზე
    - როდესაც მომხმარებელი ცდილობს წაშალოს რაიმე ჩანაწერი, **სისტემა ამოწმებს ხომ არ გააჩნია ამ ჩანაწერს შვილობილი ჩანაწერები** (მაგალითად თუ ვშლით პროდუქტის კატეგორიას, მოწმდება ხომ არ ჰყავს ამ კატეგორიას შვილობილი პროდუქტები), თუ კი - მაშინ მომხმარებელი ღებულობს შესაბამის შეტყობინებას
- **ყველა/რამოდენიმე ჩანაწერის ერთდროულად მონიშნვის** ღილაკი/ღილაკები ჩამონათვალის გვერდზე
- **სტატუსის გადამრთველი** ჩამონათვალის გვერდზე
- **მონიშნული ჩანაწერების წაშლის** ღილაკი ჩამონათვალის გვერდზე
- **მონიშნული ჩანაწერებისათვის სტატუსის შეცვლის** ღილაკი ჩამონათვალის გვერდზე
- **ჩანაწერებისათვის თანმიმდევრობის შეცვლის** ფუნქციონალი ჩამონათვალის გვერდზე
- **სათარგმნი ინფორმაციის დამუშავება** ჩანაწერის დამატების/რედაქტირების დროს
    - როდესაც მომხმარებელი ამატებს/არედაქტირებს რაიმე ჩანაწერს რომელიმე მოდულში, **არ არის აუცილებელი ინფორმაცია შეიყვანოს საიტზე არსებულ ყველა ენაზე**. ადმინისტრატორს შეუძლია **კონფიგურაციული პარამეტრებში განსაზღვროს აუცილებელი ენა,** ჩანაწერის დამატებისას სისტემა მოითხოვს, რომ

მომხმარებელმა ინფორმაცია შეიყვანოს **მინიმუმ** ამ ენაზე, თუ იგი სხვა ენების შესაბამის **თარგმანებს არ აკრეფს**, მაშინ **მათ ნაცვლად აუცილებელი ენის შესაბამისი ინფორმაცია შეინახება**.

- ‘**შენახვა**’, ‘**შენახვა და დახურვა**’ და ‘**გაუქმება**’ ღილაკები ჩანაწერების დამატების/რედაქტირების გვერდებზე
    - ღილაკი ‘**შენახვა**’, ოპერაციის დასრულების შემდეგ, მომხმარებელს ტოვებს იგივე გვერდზე სადაც იგი იმყოფება. დანარჩენი ორი ღილაკი კი მას **აბრუნებს მიმდინარე მოდულის ჩამონათვალის გვერდზე**.
- **მიმაგრებული ფაილის წაშლა რედაქტირების გვერდებიდან** - შესაძლებელია ნებისმიერი **არააუცილებელი** ფაილის წაშლა (მაგ: მთავარი ფოტოს წაშლა ტექსტური გვერდისათვის).

სლაიდერი

ველები :

- ფოტო *
- დასახელება *
- მოკლე აღწერა
- ბმული
- სტატუსი

პროდუქტი

ველები :

- დასახელება *
- მოკლე აღწერა *
- სრული აღწერა *
- კოდი *
- ფასი *
- ძველი ფასი
- ბრენდი
- კატეგორია
- მთავრი ფოტო
- ფოტო გალერეა
- სტატუსი ‘ახალი’
- სტატუსი ‘გამოქვეყნდეს’

პროდუქციის ჩამონათვალის გვერდი

ჩამონათვალის ველები :

- **სტატუსი ‘გამოქვეყნდეს’** - იცვლება გადამრთველის მეშვეობით
- **სტატუსი ‘ახალი’** - იცვლება გადამრთველის მეშვეობით
- **ფოტო**
- **დასახელება**
- **კატეგორია**

ჩამონათვალის გვერდზე ასევე განთავსებულია **ფილტრი** შემდეგი ელემენტებით :

- **სტატუსი ‘გამოქვეყნდეს’** - კი/არა
- **სტატუსი ‘ახალი’** - კი/არა
- **დასახელება**
- **კატეგორია**

პროდუქტის კატეგორიები

ველები :

- დასახელება *
- მშობელი კატეგორია
- მთავრი ფოტო
- სტატუსი ‘გამოქვეყნდეს’
-

ბრენდები

ველები :

- დასახელება *
- მთავრი ფოტო *
- სტატუსი ‘გამოქვეყნდეს’

ჩვენ შესახებ

ველები :

- დასახელება *
- სრული აღწერა *
- მთავრი ფოტო

საკონტაქტო ინფორმაცია

ამ მოდულში ადმინისტრატორს შეუძლია დაარედაქტიროს **კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია** და ასევე საიტისათვის საჭირო **სხვადასხვა პარამეტრები** შემდეგი ველებით :

- კომპანიის დასახელება
- სლოგანი
- მისამართი
- ტელეფონის ნომრები
- ელ_ფოსტის მისამართები
- ფეისბუქის ბმული
- ინსტაგრამის ბმული
- ტვიტერის ბმული
- იუთუბის ბმული
- ფეისბუქ პიქსელის კოდი
- გუგლ ანალიტიკსის კოდი
- ლოგო
- ლოგო ადმინსტრატორის განყოფილებისათვის
- ხატულა (Favicon)
- ადმინისტრატორის პანელის ავტორიზაციის გვერდის ფონი
- გრძედი (Google map)
- განედი (Google map)

შეტყობინებები

ამ მოდულში ადმინსტრატორს შეუძლია იხილოს მომხმარებლების მიერ საიტის საკონტაქტო ფორმიდან გამოგზავნილი შეტყობინებები. სხვა მოდულების ჩამონათვალის გვერდებისაგან განსხვავებით ეს **გვერდი გაფორმებულია ელ_ფოსტასთან სამუშაო ვებ-გვერდებისათვის დამახასიათებელი დიზაინის მსგავსად.** ახალ შეტყობინებებს ახლავს მოციმციმე წერტილი **რაც იმის მაუწყებელია, რომ ადმინისტრატორს ჯერ არ გაუხსნია ეს შეტყობინება, ადმინისტრატორს შეუძლია შეტყობინებების წაშლა და კონკრეტულ შეტყობინებაზე პასუხის გაცემა თანდართულ ფაილთან ერთად**.

ადმინისტრატორები

სისტემას ჰყავს **ერთი სუპერ-ადმინისტრატორი**, რომელსაც შეუძლია დაამატოს სხვა ადმინისტრატორები შემდეგი ველების მეშვეობით :

- სახელი
- გვარი
- ელ_ფოსტა
- პაროლი

სუპერ-ადინისტრატორს შეუძლია სხვა ადმინისტრატორების წაშლაც.